

ანა ჯულია კუპერი: შაგვანიან ქალთა მოძრაობის სათავეებთან



ფემინისტურმა მოძრაობებმა ორგანიზებული ხასიათი ევროპაში XIX საუკუნის 50-იან წლებში მიიღო. თუმცა, ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა არა მხოლოდ ევროპაში, არამედ ამერიკაშიც. წინამდებარე სტატიაში განვიხილავ XIX-XX საუკუნეებში მოღვაწე ამერიკული ფემინიზმის წარმომადგენლის – ანა ჯულია კუპერის – ბიოგრაფიას და მის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნაშრომს „სამხრეთელი ქალის ხმა სამხრეთიდან“ (1892 წ.).

* * *

ანა ჯულია ჰეივუდ კუპერი დაიბადა 1858 წლის 27 თებერვალს ჩრდილოეთ კაროლინის შტატში, ქალაქ როლიში.¹ ანას დედა, ჰანა სტენლი ჰეივუდი, იყო მონა ჯორჯ ვაშინგტონ ჰეივუდის სახლში. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ანას მამა სწორედ სტენლი ჰეივუდი იყო.

1868 წელს, როდესაც ანა ჯულია კუპერი ათი წლის იყო, მან მიიღო სტიპენდია და სწავლა დაიწყო წმინდა ავგუსტინეს სახელობის პედაგოგიურ სკოლაში, რომელიც ადგილობრივი საეპისკოპოსო ეპარქიის მიერ იმ მიზნით დაარსდა, რომ ყოფილ მონებსა და მათი ოჯახის წევრებს განათლების მიღების საშუალება ჰქონოდათ. იქ გატარებული წლების განმავლობაში კუპერი სხვებისგან გამოირჩეოდა. იგი იყო ამბიციური მოსწავლე, რომელმაც წარმატებას მიაღწია როგორც ჰუმანიტარულ, ასევე, ტექნიკურ სფეროებში. კუპერი დაეუფლა ლათინურ,

¹ კუპერის ბიოგრაფიის გადმოცემისას ვისარგებლე შემდეგი წყაროებით: William L. Andrews, Frances Smith Foster, Trudier Harris (eds.), *The Concise Oxford Companion To African American Literature* (Oxford: Oxford University Press, 2001), pp. 83-84; Mary Helen Washington, “Introduction”, in: Anna Julia Cooper, *A Voice From The South* (Oxford: Oxford University Press, 1988), p. xxvii ff.

ფრანგულ და ბერძნულ ენებს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ადმინისტრაცია ქალებს უფლებას არ აძლევდა, დასწრებოდნენ უმაღლესი კლასის კურსებს, რადგან ისინი მხოლოდ მამაკაცებისთვის იყო განკუთვნილი, კუპერმა მაინც მოახერხა, მათზე დასწრების უფლება მოეპოვებინა.

კუპერი თავისი ძალისხმევის შედეგად გახდა მასწავლებელი. იგი თავისი განათლების ხარჯებს საკუთარი ხელფასით იხდიდა.

1877 წელს ანა დაქორწინდა ჯორჯ კუპერზე. 1879 წელს მისი მეუღლე მოულოდნელად გარდაიცვალა. ანა სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული დარჩა და მეორედ აღარ გათხოვილა.

ქმრის გარდაცვალების შემდეგ კუპერი ჩაირიცხა ობერლინის კერძო ჰუმანიტარულ კოლეჯში (ობერლინი, ოჰაიოს შტატი),² სადაც მან მარტივ, ქალებისათვის განკუთვნილ კურსებს კვლავ მამაკაცების კურსები ამჯობინა. 1884 წელს მან მიიღო ბაკალავრის ხარისხი, ხოლო 1887 წელს – მაგისტრის. მოგვიანებით, კუპერი წმინდა აგუსტინეს სკოლაში დაბრუნდა და იმავე წელს მიიღო მიწვევა ვაშინგტონის ფერადკანიანთა სკოლის³ ადმინისტრაციისაგან, რათა ახალგაზრდებისათვის მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერება და ლათინური ენა ესწავლებინა. პარალელურად, კუპერი აქტიურად იბრძოდა გენდერული და რასისტული უთანასწორობის წინააღმდეგ. 1892 წელს მან წვლილი შეიტანა ვაშინგტონის ფერადკანიან ქალთა ლიგის დაარსებაში. კუპერი იყო ერთ-ერთი იმ აფრო-ამერიკელ ქალთა შორის, რომელიც სიტყვით გამოვიდა მსოფლიოს ქალთა წარმომადგენლობით კონგრესზე ჩიკაგოში 1893 წელს. თავის სიტყვაში კუპერმა მკაცრად გააკრიტიკა რასიზმი. ასევე, 1900 წელს ის მიიწვიეს პირველ პანაფრიკულ კონფერენციაზე ლონდონში. მაგრამ მიუხედავად მისი მიღწევებისა, კუპერი სათანადოდ დაფასებული არ ყოფილა. კუპერის ერთ-ერთი ბიოგრაფი, პოლ ქუქი, ვარაუდობს, რომ კუპერის მასწავლებლად მუშაობამ მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის, შესაძლებლობები საგრძნობლად შეზღუდა: „კუპერი არ წყვეტდა მასწავლებლად მუშაობას. ის იყო ბიბლიოთეკაში მაშინ, როდესაც მერი ჩერჩ ტერელი ვაშინგტონის ცენტრში შავკანიანთა უფლებებს იცავდა. კუპერი ყურადღების ცენტრში ყოფნას თავისი საქმიანობას ამჯობინებდა, ტერელი კი სამოქალაქო უფლებებს იცავდა და მედიასთანაც ხშირად თანამშრომლობდა.“⁴ კუპერის აქტიური მოღვაწეობა, ასევე, შეაფერხა მისმა გადაწყვეტილებამ, ეშვილებინა ხუთი ობოლი ბავშვი.

1902 წელს კუპერი გახდა ემ სორითის სკოლის დირექტორი. იქ მუშაობის პერიოდში სკოლის მთავარი ინსპექტორი, პერსი ჰიუსი, აფრო-ამერიკელთა უფლებების ცნობილი დამცველის ბუკერ ტალიაფერ ვაშინგტონის (1856-1915 წწ.) პროგრამის მიხედვით, მოითხოვდა შავკანიანი ბავშვების პროფესიულ მომზადებას ინდუსტრიული დარგებისათვის. კუპერი კი შავკანიან ბავშვებს უმაღლესი განათლებისათვის ამზადებდა და თავისი რამდენიმე მოსწავლე ისეთ პრესტიჟულ

² იქ, ასევე, სწავლობდა მერი ჩერჩ ტერელი (1863-1954 წწ.), წარმოშობით ყოფილი მონების ოჯახიდან. ტერელი ერთ-ერთი პირველი აფრო-ამერიკელი ქალი იყო, რომელმაც ბაკალავრის ხარისხი მიიღო.

³ მოგვიანებით ცნობილი გახდა, როგორც ემ სორითის სკოლა; დღესდღეობით იწოდება დუნბარის სახელობის უმაღლესი სასწავლებლად.

⁴ იხ. M. H. Washington, "Introduction", in: A. J. Cooper, *A Voice From The South*, გვ. xxvii

უნივერსიტეტებში გაგზავნა, როგორებიცაა: ჰარვარდი, ბრაუნი, ობერლინი, იელი, ამჰერსტი, დართმუზი და რედკლიფი. კუპერის მოღვაწეობის პერიოდში ჰარვარდმა ოფიციალურად აღიარა ემ სორითის სკოლის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაცია, რამაც კუპერს ძალიან გაუთქვა სახელი და, ასევე, ბევრი მტერი შესძინა. საბოლოო ჯამში, კუპერის მიერ ადმინისტრაციისადმი დაუმორჩილებლობამ გამოიწვია კონფლიქტი, რასაც შედეგად კუპერის სამსახურიდან გათავისუფლება მოჰყვა. ემ სორითის ერთ-ერთი მოსწავლის, ანეტა ითონის წერილი ადასტურებს, რომ კუპერის ემ სორითის სკოლიდან გათავისუფლებაში დიდი როლი მის თეთრკანიან მოწინააღმდეგეებს მიუძღვით. წერილში ითონი აღნიშნავს, რომ კუპერის მოსწავლეების წარმატება, კერძოდ, ის, რომ შავკანიანი ახალგაზრდები ე. წ. სუროს ლიგის⁵ სასწავლებლებში მიიღეს, კუპერის გათავისუფლების მიზეზი გახდა, რადგან თეთრკანიანების აზრით, უმაღლესი განათლება შავკანიანებისათვის საჭირო არ იყო.

კუპერს წაუყენეს ისეთი ბრალდებები, როგორიცაა ოფიციალური სახელმძღვანელობის გამოყენებაზე უარის თქმა, სუსტი და ჩამორჩენილი სტუდენტების არაადეკვატურად დადებითი შეფასება, სკოლაში მკაცრი დისციპლინის შესუსტება და სათანადო სულისკვეთების არქონა. ამის შემდეგ კუპერი იძულებული გახდა, თანამდებობა დაეტოვებინა. იგი ლინკოლნის უნივერსიტეტში გადავიდა (ჯეფერსონი, მისურის შტატი), სადაც 1910 წლამდე ასწავლიდა, ვიდრე ახალმა უფროსმა ისევ ემ სორითის სკოლაში არ მიიწვია.

მისურის შტატში ყოფნის დროს კუპერმა ჯონ ლაის⁶ საქორწინო შემოთავაზება უარყო. 1914-1917 წლებში კუპერი სწავლობდა კოლუმბიის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში. იქ სწავლის პერიოდში, 1915 წელს, მან იშვილა თავისი ნახევარძმის ხუთი ობოლი შვილი.

მოგვიანებით, კუპერმა მოახერხა სორბონის უნივერსიტეტში (პარიზი, საფრანგეთი) გადასვლა. სადოქტორო ნაშრომი მან დაიცვა 1925 წელს, 67 წლის ასაკში. ნაშრომის სათაური იყო: „საფრანგეთის დამოკიდებულება მონობის მიმართ 1789-1848 წლებში“. ის იყო მეოთხე აფრო-ამერიკელი ქალი, რომელმაც დოქტორის ხარისხი მიიღო. 1930 წელს კუპერი პენსიაზე გავიდა და იმავე წელს მიიღო მიწვევა წამყვან თანამდებობაზე ფრილინგჰუისენის უნივერსიტეტის (ვაშინგტონი, აშშ) ხელმძღვანელობისაგან. 1930-1941 წლებში იგი ამ უნივერსიტეტის პრეზიდენტი იყო.

ანა ჯულია კუპერის ყველაზე ცნობილი ნაშრომია „სამხრეთელი ქალის ხმა სამხრეთიდან“, რომელიც პირველად გამოიცა 1892 წელს. კუპერის სხვა ნაშრომებია: „რასების თანასწორობა და დემოკრატიული მოძრაობა (1945 წ.)“, „მესამე ნაბიჯი (1945 წ.)“, „გრემკის ოჯახის პირადი მოგონებები (1951 წ.)“.

კუპერი საკმაოდ მოკრძალებული იყო მამაკაცი კოლეგების მიმართ, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მათ კუპერის მიმართ მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდათ. მერი

⁵ სუროს ლიგა (The Ivy League) – აკადემიური წარმატებისა და ელიტიზმის სინონიმია. ამ ტერმინით აშშ-ში ყველაზე პრესტიჟულ და რჩეულ უნივერსიტეტებს მოიაზრებენ, ესენია: ბრაუნი, კოლუმბია, კორნელი, დართმუზი, ჰარვარდი, პენი, პრინსტონი, იელი.

⁶ ემ სორითის სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი.

ჰ. ვაშინგტონი აღნიშნავს, რომ კუპერის ურთიერთობამ დიუ ბუასთან⁷ ხაზი გაუსვა იმას თუ როგორ რჩებოდა ქალი შავკანიანთა პოლიტიკური ცხოვრების მიღმა.⁸ კუპერი იცნობდა და პატივს სცემდა სახელგანთქმულ დიუ ბუას. ისინი იყვნენ კოლეგები და ერთდროულად ესწრებოდნენ პან-აფრიკულ კონგრესს ლონდონში 1900 წელს (ამ კონგრესის ჩატარებაში წვლილი დიუ ბუამაც შეიტანა). ასევე, ორივე იყო შავკანიანთა ამერიკული აკადემიის წევრი.

კუპერი ხშირად წერდა დიუ ბუას წერილებს თავისი შეხედულებებისა და ნაშრომების შესახებ, თუმცა, ამის მიუხედავად, დიუ ბუა სათანადო ყურადღებას მაინც არ იჩენდა მის მიმართ.

1929 წლის 31 დეკემბერს კუპერმა მიწერა დიუ ბუას: „ჩემი აზრით, „ტრაგიკულ ერას“⁹ უნდა გაეცეს პასუხი – ადეკვატურად, სრულიად, მარჯვედ, საბოლოოდ... და კიდევ ერთხელ, ვფიქრობ, რომ თქვენ ხართ მამაკაცი! აღიქვით ეს სერიოზულად, კრიზისის პირობებში. გარდა ამისა, მოგვეცით უფლება, რომ გავავრცელოთ 10 000 ასლი. გააკეთებთ ამას? მიპასუხეთ.“¹⁰

აღნიშნული წერილის მიღებიდან ექვსი წლის შემდეგ დიუ ბუამ, როგორც ჩანს, გაითვალისწინა კუპერის რჩევა და საპასუხოდ გამოაქვეყნა ნაშრომი „შავკანიანთა რეაბილიტაცია ამერიკაში“ (1935 წ.).

1936 წელს კუპერმა კვლავ მისწერა დიუ ბუას წერილი, რათა ეკითხა მისთვის, გამოუქვეყნებდნენ თუ არა ბიოგრაფიულ ესკიზს მისი მეგობრის, შარლოტა გრიმკის შესახებ.¹¹ დიუ ბუამ მოიწონა ნაშრომი, თუმცა მან უთხრა კუპერს, რომ ესკიზი ზედმეტად ვრცელი იყო. დიუ ბუამ შეუსრულა კუპერს თხოვნა და გამოაქვეყნა შარლოტა გრიმკის ბიოგრაფია ჟურნალ „კრიზისში“.¹²

მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთსა და იმავე ინტელექტუალურ წრეში ტრიალებდნენ, დიუ ბუა ექსპლიციტურად არ აღიარებდა კუპერის დამსახურებასა და მიღწევებს. ესეში „ქალის წყველაზე“ დიუ ბუა ახდენს კუპერის საკმაოდ ცნობილი ფრაზის ციტირებას. თუმცა, იგი კუპერს მოიხსენიებს სახელის გარეშე – „ჩვენი ერთ-ერთი ქალბატონი“.¹³

საბოლოო ჯამში, უნდა აღინიშნოს, რომ კუპერის მეცნიერული მიღწევები და მოღვაწეობა მისი მამაკაცი კოლეგების მიერ არ იყო სათანადოდ დაფასებული.

კუპერი გარდაიცვალა 1964 წლის 27 თებერვალს, ვაშინგტონში. სამგლოვიარო პროცესი ჩატარდა წმინდა აგუსტინეს კოლეჯის კორპუსში, სადაც კუპერის კარიერა დაიწყო. ის დაასაფლავეს თავისი მეუღლის გვერდით, ქალაქ როლიში.

⁷ უილიამ ედვარდ ბურგჰარდტ (უ. ე. ბ.) დიუ ბუა (1868–1963 წწ.) – ამერიკელი სოციოლოგი, ისტორიკოსი, მწერალი, სამოქალაქო უფლებების დამცველი. იგი იყო „ეროვნული ასოციაცია ფერადკანიანთა პროგრესისათვის“ ერთ-ერთი დამაარსებელი (1909 წ.).

⁸ იხ. M. H. Washington, "Introduction", in: A. J. Cooper, *A Voice From The South*, გვ. xl.

⁹ „ტრაგიკული ერა“ (1929 წ.) იყო კლოდ ბაუერის რასისტული წიგნი.

¹⁰ კუპერი დიუ ბუას არწმუნებდა, რომ გაეცა საკადრისი პასუხი აღნიშნული წიგნის ავტორისათვის და თხოვდა ნებართვას, რათა გაეკეთებინა ქალთა თანასწორობის შესახებ თავისი მოხსენების ასლები და გაეავრცელებინა ისინი.

¹¹ იხ. M. H. Washington, "Introduction", in: A. J. Cooper, *A Voice From The South*, გვ. xl-xli. შარლოტა ფორტენ გრიმკი (1837-1914) – აფრო-ამერიკელი პოეტი, იბრძოდა მონობის წინააღმდეგ

¹² „კრიზისი“ იყო ფერადკანიანთა ასოციაციის ოფიციალური ჟურნალი, რომელიც დაარსდა 1910 წელს. ერთ-ერთი დამაარსებელი თვით დიუ ბუა გახლავთ.

¹³ იხ. M. H. Washington, "Introduction", in: A. J. Cooper, *A Voice From The South*, გვ. xlii.

1982 წელს, როდესაც სმითსონის ინსტიტუტის¹⁴ თანამშრომელმა, ლუის ჰათჩინსონმა დაწერა კუპერის ბიოგრაფია, პირველი ასლი თავად მიუტანა კუპერის უფროს შვილს, მისის რეჯია ჰეივუდ ბრონსონს, რომელიც იყო ყველაზე უფროსი იმ ხუთი ბავშვიდან, რომლებიც კუპერმა 1915 წელს იშვილა. ბრონსონმა წიგნი გულში ჩაიკრა და ატირდა. როდესაც ჰათჩინსონმა ჰკითხა მას, თუ რატომ ტიროდა, ბრონსონმა უპასუხა: „არავის უთქვამს ჩემთვის, რომ ანა ასეთი მნიშვნელოვანი პიროვნება იყო.“¹⁵

* * *

კუპერის „ხმა სამხრეთიდან“ შეიძლება მივიჩნიოთ შავკანიანთა ფემინისტური მოძრაობის ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად. წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში ოთხი ესეა თავმოყრილი, რომლებშიც უშუალოდ ქალთა საკითხებია განხილული: „ქალურობა, როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტი რასის აღორძინებასა და პროგრესისათვის“, „ქალების უმაღლესი განათლება“, „ქალი ინდიელის წინააღმდეგ“, „ქალის სტატუსი ამერიკაში“. მეორე ნაწილი, ასევე, ოთხი ესეგან შედგება, მაგრამ აქ ქალთა უფლებები უფრო ფართო კონტექსტშია განხილული: „აქვს თუ არა ამერიკას რასიზმის პრობლემა და თუ აქვს, მაშინ როგორია მისი გადაწყვეტის საუკეთესო გზა?“, „შავკანიანი ამერიკულ ლიტერატურაში“,¹⁶ „რა არის ჩვენი ფასი?“, „სარგებელი რწმენისგან“.

კუპერი იყო პირველი შავკანიანი ქალი, რომელმაც გააანალიზა, რომ შავკანიანი კაცების მიერ ზოგადად შავკანიანებზე საუბარი არასწორი იყო, რადგან ისევე, როგორც თეთრკანიანი ვერ გაიგებს შავკანიანი ადამიანის გულისტკივილს, ასევე, ვერ უგებენ აფრო-ამერიკელი კაცები შავკანიან ქალებს.

კუპერი აკრიტიკებს შავკანიან მამაკაცებს იმისათვის, რომ ისინი უმაღლეს განათლებას მხოლოდ თავისთვის უზრუნველყოფენ და ხელს არ უწყობენ იმას, რომ იგივე შესაძლებლობები განათლების სფეროში ქალებსაც ჰქონდეთ:

„[...] ხანდახან მეჩვენება, რომ შავკანიანი კაცები არ ჩამორჩებიან თანამედროვეობას თითქმის არც ერთ საკითხთან დაკავშირებით და მათ გააჩნიათ საღი აზრი, მაგრამ ქალებთან მიმართებაში, ისინი მეთექვსმეტე საუკუნის ლოგიკით მსჯელობენ. [...] ვშიშობ, რომ შავკანიან მამაკაცთა უმეტესობა არ მიიჩნევს ღირებულად იმას, რომ ქალები უმაღლესი განათლების მიღებისაკენ მიისწრაფიან.“¹⁷

ნაშრომის პირველ ესეში კუპერი საუბრობს ამერიკული საზოგადოების შესახებ. მისი აზრით, თანამედროვე ამერიკული საზოგადოება ჯანსაღად მოაზროვნეა. ავტორს ეჭვი არ ეპარება, რომ ამერიკა ის ადგილია, სადაც

¹⁴ სმითსონის ინსტიტუტი – მუზეუმებისა და კვლევითი ცენტრების ერთობლიობა, რომელიც აშშ ხელისუფლებამ დააარსა 1846 წელს „ცოდნის გაზრდისა და გავრცელების“ მიზნით.

¹⁵ იხ. M. H. Washington, “Introduction”, in: A. J. Cooper, *A Voice From The South*, გვ. xxviii.

¹⁶ შავკანიანთა აღსანიშნავად კუპერი იყენებს ტერმინს *Negro*.

¹⁷ იხ. A. J. Cooper, *A Voice From The South*, გვ. 75.

ცივილიზაცია თავის მწვერვალებს მიაღწევს და სწორედ აქ გვხვდება ყველა რასის წარმომადგენლის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები და უსასრულო შესაძლებლობები.

ქრისტიანულმა რელიგიამ და ფეოდალურმა სისტემამ, კუპერის აზრით, უმნიშვნელოვანესი გავლენა იქონია თანამედროვე საზოგადოებაში გავრცელებულ შეხედულებებზე ქალებთან დაკავშირებით. ავტორი აღნიშნავს, რომ ტაციტუსი¹⁸ მიუთითებდა ბარბაროსების დამოკიდებულებაზე ქალების მიმართ, კერძოდ იმაზე, რომ ისინი უდიდეს პატივს სცემდნენ ქალებს. სკანდინავიურ ლეგენდებსა და პრიმიტიულ პოემებშიც კი ასახულია მამაკაცების სიყვარული და პატივისცემა ოჯახის – ცოლის, დისა და დედების მიმართ. აქ იგულისხმება, რომ კაცობრიობას უძველესი დროიდან ახასიათებს ქალის მიმართ პატივისცემა და ეს ტრადიცია არც თანამედროვე ეპოქაში უნდა შეიცვალოს.

კუპერი აღნიშნავს, რომ სახარების თანახმად, ყველა ქალი დაფასებული უნდა იყოს მიუხედავად მისი სტატუსისა, სიმდიდრისა თუ წარმომავლობისა. ამის მიუხედავად, ქრისტიანული ეკლესია ბევრს არაფერს აკეთებს ქალების დასაცავად და მათი პროზიციის დასაწინაურებლად. კუპერს მოჰყავს ციტატები სახარებიდან და უპირისპირებს მათ რეალურ მოვლენებს. მისი აზრით, კაცობრიობას ცხრამეტი საუკუნის განმავლობაში არ აქვს დასაკვირვებელი მიღწევები ამ საკითხთან დაკავშირებით.

ინგლისელი ქალები, ქრისტიანული კულტურის გავლენით, შავკანიანებთან შედარებით დამოუკიდებლობა არიან, თვლის კუპერი. შავკანიანთა რასა ეკლესიას ჯერ კიდევ იმედის თვალთ უმზერს, ვინაიდან, იმის მიუხედავად, თეთრკანიანთა ადამიანი თუ არა, ყველა მაინც ღვთის შვილია. კუპერი წერს: „[...] ჩვენ უნდა ვთხოვოთ დახმარება ეკლესიას და მივცეთ მას საშუალება, რომ დაგვეხმაროს”.¹⁹

კუპერის აზრით, შავკანიან ქალებსაც ისეთივე შესაძლებლობები აქვთ, როგორც თეთრკანიანებს, მაგრამ ისინი არ არიან თავიანთ თავში დარწმუნებული. ავტორი თვლის, რომ ნებისმიერ შავკანიან გოგონას შეუძლია გახდეს ფრანგი ან ინგლისელი ქალბატონების მსგავსი დახვეწილი და ელევანტური, ერთი სიტყვით, ნამდვილი ლედი, თუ მათ ეყოლება ის, ვინც დაიცავს, დაეხმარება, გაწვრთნის, განსწავლის და შთააგონებს მათ. კუპერი მოუწოდებს საზოგადოებას, რომ იზრუნონ შავკანიან გოგონებზე, რადგან მათზეა დამოკიდებული შავკანიანთა რასის მომავალი.

კუპერი იმოწმებს ემერსონის²⁰ სიტყვებს: „რაც საკუთარ თავს ვერ დაიცავს, ის განადგურდება.“ აქ იგულისხმება, რომ თუ შავკანიანთა რასა არ დაიცავს საკუთარ თავს, მას სხვა არავინ დაიცავს. სწორედ ამიტომ, კუპერი მოუწოდებს შავკანიანებს, რომ დადგნენ ერთად და იბრძოლონ თავიანთი უფლებებისათვის. მისი აზრით, დროის უქმი ფლანგვა არ ღირს და კარგი იქნება, თუ ყოველი შავკანიანი აწმყოს იმისათვის გამოიყენებს, რომ მომავალი უფრო უკეთესი გახდეს.

¹⁸ პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი (დაახლ. 56-117 წწ.) – რომაელი ისტორიკოსი, ანტიკური პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მწერალი.

¹⁹ იხ. A. J. Cooper, *A Voice From The South*, გვ. 46.

²⁰ რაფაელ უოლდო ემერსონი (1803-1882 წწ.) – ამერიკელი ესეისტი, პოეტი და ფილოსოფოსი.

ესეში – „ქალების უმაღლესი განათლება“ – კუპერი აღნიშნავს, რომ წარსულისაგან განსხვავებით, თანამედროვე ამერიკაში შეიქმნა „ქალებისათვის განკუთვნილი კურსები“, რომლებიც სუსტი სქესის წარმომადგენლებისათვის დაწყებითი განათლებისა და, ასევე, ბაკალავრის ხარისხის მიღებას ითვალისწინებდა. იმავე პერიოდში შეიქმნა „კურსები მამაკაცებისათვის“. ქალები ისე იყვნენ სწავლაზე მოწადინებულნი, რომ ზოგიერთი მათგანი მამაკაცებისათვის განკუთვნილ კურსებზეც ჩაეწერა. მოგვიანებით, ამ კურსების ხელმძღვანელები მიხვდნენ, რომ დრო იყო, კურსებისთვის სახელი შეეცვალათ, რადგან მამაკაცების კურსებს იმდენივე ქალბატონი ესწრებოდა, რამდენიც ქალებისათვის განკუთვნილს.

თანამედროვე სამყაროში უამრავი ადამიანი ეწევა ქველმოქმედებას, შექმნილია თავშესაფრები უსახლკაროთათვის, ასევე, საავადმყოფოები დაავადებული ხალხისათვის. კუპერი აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ კაცების დამსახურებაც არის, მაგრამ, მისი აზრით, მამაკაცები კეთილშობილურ თვისებებს უმეტესად დედისგან იძენენ, ვიდრე მამისაგან. სწორედ ამიტომ, აცხადებს, კუპერი, თანამედროვე სამყაროს ასეთი „გაკეთილშობილება“ დედობრივი ზრუნვის შედეგია.

კუპერი ცდილობს, მკითხველს შთააგონოს, რომ მამაკაცები და ქალები არ უნდა განვიხილოთ, როგორც ორი დაპირისპირებული რამ, როგორც ცუდი და კარგი, არამედ ისინი უნდა აღვიქვათ, როგორც ორი ერთმანეთისთვის საჭირო და თანაბარი მხარე. კუპერის აზრით, მამაკაცისა და ქალის განვითარება ხდება თანაბრად და ერთობლივად. თუ რომელიმე მხარე, მაგალითად ქალი, შეწყვეტს წინსვლას, მაშინ კაციც ვერ განიცდის პროგრესს. კუპერი აღნიშნავს, რომ ქალი და მამაკაცი უნდა ავსებდნენ ერთმანეთს, ისევე, როგორც „მშვენიერი მუსიკა და დახვეწილი სიტყვები.“²¹

კუპერი მიმართავს მათ, ვინც თვლის, რომ უმაღლესი განათლება ქალებმა არ უნდა მიიღონ და იგი იმოწმებს გამოჩენილ მამაკაცებს, რომლებსაც ეკუთვნით შემდეგი ფრაზები:

„ქალი, რომელიც ფიქრობს, შედეგად მამაკაცს ჰგავს. – ეს სასაცილოა!“ (ლესინგი).²²

„იდეები წვერს ჰგავს – ქალებსა და პატარა ბიჭებს ის არ აქვთ“ (ვოლტერი).²³

„ჩვენ ქალისაგან, ისევე როგორც თუთიყუშისაგან, ხანდახან მოგვწონს რამდენიმე ფრაზის მოსმენა. ეს ფრაზები ხომ ასეთი მოულოდნელია!“ (დოქტორი მაგინი).²⁴

ეს ავტორები მიუთითებდნენ, რომ სწავლა და სიბრძნე ქალებისათვის არ არის განკუთვნილი. გავრცელებული შეხედულებების თანახმად, იდეალური ქალი უნდა იყოს ლამაზი, ჩაიცვას გემოვნებიანად, მოიქცეს შესაფერისად და არ უნდა იყოს კარგად ინფორმირებული. ქალი აღიქმებოდა, როგორც „მსოფლიოში საუკეთესო

²¹ იხ. A. J. Cooper, *A Voice From The South*, გვ. 62.

²² გოტჰოლდ ევრაიმ ლესინგი (1729-1781 წწ.) – გერმანელი მწერალი და განმანათლებელი. მიიჩნევა გერმანული კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

²³ ფრანსუა მარი არჟე ვოლტერი (1694-1778 წწ.) – ფრანგი მწერალი, დრამატურგი, ფილოსოფოსი და ერთ-ერთი განმანათლებელი.

²⁴ უილიამ მაგინი (1794-1841 წწ.) – ირლანდიელი ჟურნალისტი და მწერალი.

საჩუქარი კაცისათვის.”²⁵ კუპერი ქალების შესახებ ასეთ წარმოდგენებს მკვეთრად უპირისპირდება. იგი აღნიშნავს, რომ ასეთი წარმოდგენები უკვე წარსულს ჩაბარდა და თანამედროვე საზოგადოებას ასეთი შეხედულებები არ აქვს.

ამის საპირისპიროდ, კუპერს მაგალითად მოჰყავს წარსული ეპოქების წარჩინებული ქალები, რომელთა განათლება თანამედროვე სამყაროსაც აკვირვებს: საფო,²⁶ ასპასია²⁷ და ოლიმპია მორატა.²⁸ კუპერის მიხედვით, სწორედ ამ ქალებმა შეუწყვეს ხელი ცივილიზაციის პროგრესსა და განვითარებას.

როდესაც მეთიუ არნოლდი²⁹ ამერიკას სტუმრობდა, ლექციის დროს შეატყო, რომ ერთ-ერთი გოგონა ისევე ყურადღებით უსმენდა მის საუბარს, როგორც მამრობითი სქესის წარმომადგენლები. ამ ფაქტმა იგი გააკვირვა. მან თავის კოლეგებთან ქალების განათლებაზე საუბრისას აღნიშნა, რომ თუ ქალები მიიღებდნენ უმაღლეს განათლებას, ეს მკვეთრად შეამცირებდა მათი დაოჯახების შანსებს.

კუპერის აზრით, არნოლდის მიერ მოყვანილი არგუმენტი ყველაზე სერიოზულია ქალთა უმაღლესი განათლების წინააღმდეგ, რადგან ქორწინების საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ქალებისათვის. მაგრამ იგი აღნიშნავს, რომ განათლებული ქალი უფრო თავისუფალია, ნაკლებად დამოკიდებულია მამაკაცზე და მას ბევრი შესაძლებლობები აქვს. კუპერის აზრით, ასეთი ქალი არ შეიძლება ნაკლებად მიმზიდველი და არასასურველი ცოლი იყოს მამაკაცებისათვის, რადგან ფსიქოლოგიის ცოდნა ასეთ ქალებს მისცემს საშუალებას, უკეთესი დედები და დიასახლისები იყვნენ. ასევე, ცოდნის სხვადასხვა დარგების ათვისება მათ მნიშვნელოვანწილად დაეხმარება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

„რამდენიმე წლის წინ ჩემმა თეთრკანიანმა მეგობარმა მკითხა: როგორ მოხდა, რომ თქვენი რასის წარმომადგენელი მამაკაცები უკეთესად ავლენენ თავიანთ გონებრივ შესაძლებლობებს, ვიდრე ქალები? მე ვუპასუხე: კაცები უფრო მეტს აღწევენ თავიანთი ცხოვრების წესით, ადამიანებთან ურთიერთობის მეშვეობით, ხოლო ქალები, ჩემი აზრით, უფრო წყნარი არსებები არიან. მაშინ, როცა იდეები უჩნდებათ, ისინი ამას საჯაროდ არ აცხადებენ.” – წერდა კუპერი.³⁰

ესეც ბოლოს კუპერი მოუწოდებს მასწავლებლებს და ზოგადად ყველას, რომ მისცენ ქალებს შანსი და თხოვს მათ, აჩვენონ გოგონებს, რომ მათგან უფრო მეტს მოელიან, ვიდრე უბრალოდ სასიამოვნო გარეგნობას. კუპერი აღნიშნავს, რომ არსებობს რასა, რომლის გადარჩენაც მხოლოდ ქალებს შეუძლიათ, იმ ქალებს, რომლებსაც აქვთ ამბიციები და სურთ განათლების მიღება. აუცილებელია უფრო მეტი სასწავლო დაწესებულებები ქალებისათვის, უნდა შეწყდეს ახალგაზრდა გოგონების მხოლოდ დიასახლისებად აღზრდა, რადგან მათ უფრო მნიშვნელოვანი

²⁵ იხ. A. J. Cooper, *A Voice From The South*, გვ. 65.

²⁶ საფო (ძვ.წ. VII-VI სს.) – ბერძენი ლირიკოსი ქალი, რომელიც დაიბადა კუნძულ ლესბოსზე.

²⁷ ასპასია (ძვ.წ. 470-400 წწ.) – ცნობილი ბერძენი ქალი (წარმოშობით მილეტიდან), სახელგანთქმული იყო განათლებით, ასევე, ცნობილი, როგორც ათენის პოლიტიკური მოღვაწის, პერიკლეს ცოლი და მრჩეველი.

²⁸ ოლიმპია ფალვია მორატა (1526-1555 წწ.) – წარმოშობით იტალიელი (ქ. ფერარადან) პოეტი და ჰუმანისტი.

²⁹ მეთიუ არნოლდი (1822-1888 წწ.) – ბრიტანელი პოეტი და კრიტიკოსი.

³⁰ იხ. A. J. Cooper, *A Voice From The South*, გვ. 74.

მოვალეობები აკისრიათ. საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს ქალებს, რათა მათ შეძლონ უკეთესი განათლების მიღება, მაგრამ ეს არ გულისხმობს იმას, რომ ამ სფეროში მამაკაცებზე ზრუნვა შეწყდეს.

კუპერის აზრით, თეთრკანიან ქალებთან შედარებით, შავკანიანები ორმაგად იჩაგრებიან თავიანთი სქესისა და კანის ფერის გამო. ავტორი მთელი ნაშრომის განმავლობაში ცდილობს, დაანახოს მკითხველს, თუ რამდენი სასარგებლო რამის გაკეთება შეუძლია ქალს საზოგადოებისათვის.

ერთ-ერთ ესეში („ქალი ინდიელის წინააღმდეგ“) კუპერი აღნიშნავს, რომ შავკანიანი ქალები თანამედროვე ეპოქაში უნიკალურები არიან, მაგრამ მნიშვნელოვანია გავიგოთ, თუ რას გულისხმობს ავტორი ამ სიტყვაში. კუპერის შემოქმედების მკვლევარების, ესმი ბენისა და ჩარლზ ლემერტის თანახმად, ამ შემთხვევაში სიტყვა „უნიკალურს“ პოლიტიკურ-ისტორიული დატვირთვა აქვს. კუპერის მტკიცების მიუხედავად, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ქალების როლი უკეთესობისაკენ შეიცვალა („მორალური იდეების მეფობის პერიოდში ქალი ადვილად ხდება დედოფალი“),³¹ იგი მთელი ნაშრომის განმავლობაში ქალების წარსულ მიღწევებსა და მათ ადრეულ მოღვაწეობებზე მიუთითებს. სწორედ აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ კუპერისათვის შავკანიან ქალთა „უნიკალურობას“ ისტორიული საფუძველი აქვს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ რედაქტორები ცნება „უნიკალურს“ მარტოობასთანაც აიგივებენ. მათ არგუმენტად მოჰყავთ კუპერის ქმრის გარდაცვალების ფაქტი, რამაც, როგორც ჩანს, კუპერზე ძლიერი გავლენა იქონია, ვინაიდან იგი მეორედ აღარ გათხოვილა და არც ურთიერთობა ჰქონია ვინმესთან (მისი მოწინააღმდეგეების მიერ კუპერისა და ჯონ ლაგის ურთიერთობებზე გავრცელებული ხმების მიუხედავად, არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ მათ რაიმე ურთიერთობა ჰქონდათ). აქედან გამომდინარე, ბანი და ლემერტი ვარაუდობენ, რომ კუპერი შეიძლება უნიკალურობაში მარტოობასაც გულისხმობდა.³²

ნაშრომის ერთ-ერთ ესეში („ქალის სტატუსი ამერიკაში“) კუპერი საგანგებო ყურადღებას უთმობს ქალთა წარმომადგენლობით მსოფლიო კონგრესს, რომელიც 1893 წელს ჩიკაგოში გაიმართა. კუპერი მიიჩნევს, რომ ამ კონგრესის ჩატარება საკვანძო მნიშვნელობის მოვლენა იყო ქალთა მოძრაობისათვის.

კუპერის აზრით, თანამედროვე ეპოქაში შავკანიან ქალად ყოფნა, წარსულისაგან განსხვავებით, პრივილეგიებსა და შესაძლებლობებს გულისხმობს. საზოგადოებისათვის ერთი რომელიმე ჯგუფის დომინანტურობა დამღუპველია, ვინაიდან გაბატონებული რასა დაქვემდებარებული რასის განვითარებას ხელს უშლის და უარყოფს ყველაფერს, რაც განსხვავებულია.

ამერიკაში მრავალი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს, რომლებიც ამ კონტინენტზე დასახლდნენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამერიკის მკვიდრი მოსახლეები წითელკანიანები ანუ ინდიელები არიან, რომლებსაც მოგვიანებით დასახლებული ადამიანები მუდმივად ავიწროებენ. ამიტომ, კუპერის აზრით,

³¹ იხ. A. J. Cooper, *A Voice From The South*, გვ. 133.

³² იხ. *The Voice Of Anna Julia Cooper Including "A Voice From The South" and other important essays, papers, and letters*, edited by Charles Lemert and Esme Bhan (Rowman & Littlefield Publishers, 1998) გვ. 12-13.

ამერიკაში რასიზმის პრობლემა დგას. მაგრამ ამის გამოსასწორებლად ცალკეული ადამიანი ვერაფერს გახდება. ეს, რა თქმა უნდა, ღმერთის ნებას უნდა მივანდოთ. თუმცა, არსებობს რამდენიმე საშუალება ვითარების გასაუმჯობესებლად. ამერიკელებმა კანის ფერსა და წარმომავლობაზე კი არ უნდა იფიქრონ, არამედ რასიზმის დამარცხებას უნდა შეეცადონ. ყველა რასისა და კლასის წარმომადგენელმა, ყველა ოჯახმა და პიროვნებამ უნდა შეიტანოს თავისი წვლილი ამ საქმეში. კომპრომისი, ლიბერალურობა და შემწყნარებლობა არსებითია ერის შექმნისათვის. კუპერის აზრით, თუ ქვეყანა რასიზმის პრობლემას გადაწყვეტს, მას ნებისმიერი სირთულის გადალახვა ადვილად შეეძლება და სწორედ ასეთი ერი განიცდის უდიდეს პროგრესს.³³

ესეში „სარგებელი რწმენისგან“ კუპერი რადიკალურად განსხვავებულ საკითხებზე მსჯელობს: როგორ მოქმედებს ის სისტემა, რომელიც მსოფლიოს კანონებსა და კაცობრიობის მომავალს განსაზღვრავს? რამ განაპირობა ის, რომ კაცობრიობამ XIX საუკუნეს მიაღწია? კუპერი არ ცდილობს, რაიმე განსაკუთრებული თეორიებით ამ შეკითხვებს გასცეს პასუხი. მას ამ საკითხთან დაკავშირებით, მოჰყავს ციტატა რობერტ გრინ ინგერსოლის³⁴ ნაშრომიდან „რატომ ვარ აგნოსტიკოსი“: „მოდით, ვიყოთ გულწრფელები საკუთარ თავთან. ამ საიდუმლოებით მოცულ სამყაროში ყველა კენჭი, ფოთოლი და ბალახიც კი უამრავ შეკითხვას ბადებს. ადამიანებს გვაქვს შეგრძნება იმისა, რომ ახლოს ვართ იმ თითქოს უმარტივეს აღმოჩენასთან, რომელმაც ყველაფერს ნათელი უნდა მოჰფინოს. მოდით, ვადიაროთ ჩვენი გონების ნაკლოვანება და გვეყოს გამბედაობა, რომ ვთქვათ: ჩვენ არ ვიცით.“³⁵

კუპერი, ასევე, საუბრობს ოგიუსტ კონტზე,³⁶ რომელიც პოზიტივიზმის დამფუძნებელად არის მიჩნეული. პოზიტივიზმი აღიარებს მხოლოდ იმ მოვლენებსა და ფაქტებს, რომლებზეც შესაძლებელი იქნება დაკვირვება და ამის საფუძველზე მათი შესწავლა. შესაბამისად, აღნიშნავს კუპერი, კონტის მიმდევრები არ აღიარებენ ღმერთისა და სულის არსებობას. ისინი არ თვლიან მეცნიერულად იმ მოვლენებს, რომელთა ემპირიული დაკვირვება შეუძლებელია. ამ თვალსაზრისს, ასევე, იზიარებდნენ ჯონ სტიუარტ მილი,³⁷ ჰერბერტ სპენსერი,³⁸ ჯორჯ ჰენრი ლუისი³⁹ და სხვები. კუპერი აღნიშნავს, რომ პოზიტივიზმის მიმდევრების აზრით, მოვლენებისა და ფაქტების წარმოშობის პირველსაწყისი მიზეზები უცნობია და მათი ძიების მცდელობაც, შესაბამისად, უსაფუძვლო.⁴⁰

³³ იხ. A. J. Cooper, *A Voice From The South*, გვ. 163-165.

³⁴ რობერტ გრინ ინგერსოლი (1833-1899 წწ.) – ამერიკელი პოლიტიკოსი და მწერალი. ცნობილია, როგორც აგნოსტიციზმის დამცველი. მას, ასევე, მოიხსენიებდნენ სახელით: „დიდი აგნოსტიკოსი“.

³⁵ იხ. A. J. Cooper, *A Voice From The South*, გვ.

³⁶ ოგიუსტ კონტი (1798 – 1857 წწ.) – ფრანგი სოციოლოგი. ის გახლავთ სოციოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, დამაარსებელი და, ასევე, პოზიტივიზმის ფუძემდებელი.

³⁷ ჯონ სტიუარტ მილი (1806-1873 წწ.) – ინგლისელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი და პარლამენტის წევრი.

³⁸ ჰერბერტ სპენსერი (1820-1903 წწ.) – ინგლისელი ფილოსოფოსი, ბიოლოგი, ანთროპოლოგი და სოციოლოგი.

³⁹ ჯორჯ ჰენრი ლუისი (1817-1878 წწ.) – ინგლისელი ფილოსოფოსი, მწერალი, ლიტერატურისა და თეატრის კრიტიკოსი.

⁴⁰ იხ. A. J. Cooper, *A Voice From The South*, გვ. 292-293.

მორალისა და რელიგიის შესახებ მოსაზრებები კონტმა წარმოადგინა თავის ოთხტომიან ნაშრომში „პოზიტიური პოლიტიკის სისტემა“ (1851-1854 წწ.). „კაცობრიობის რელიგიაში“, რომელსაც თომას ჰაქსლიმ⁴¹ „კათოლიციზმს გამოკლებული ქრისტიანობა“ უწოდა, კონტმა თავი ახალი რელიგიის მთავარ ქურუმად წარმოადგინა. ღმერთის ადგილს ამ ახალ რელიგიაში საზოგადოება იკავებს, რომელსაც ინდივიდი თავყვანს უნდა სცემდეს, როგორც უმაღლეს არსებას, რომლისგანაც თითოეული ადამიანი დავალებულია.

კუპერი თვლის, რომ აღნიშნული მიდგომა უარყოფს ღმერთისა და სიყვარულის ცნებებს, რასაც, საბოლოოდ, უიმედობამდე მიყვავართ. თუ აგნოსტიკოსებს არაფრის სწამთ, ისინი ვერ აიძულებენ სხვას, მიბაძონ მათ, რადგან გასაგრძელებელიც არაფერი აქვთ.

კუპერისთვის რელიგია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ყველა ერის, რასისა და საზოგადოების არსებობისათვის. მისი აზრით, რწმენა ნიშნავს, აღიქვა ჭეშმარიტება ჭეშმარიტებად. იესოს თანახმად, პიროვნების სულს უსაზღვრო შესაძლებლობები აქვს. სიცოცხლე იწყება, გრძელდება და არასოდეს მთავრდება. კუპერის თანახმად, ყოველივე ეს ძალიან მარტივია იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ამას ირწმუნებს. ავტორის აზრით, არსებობს რაღაც ძალები ჩვენი არსებობის მიღმა და ეს ძალები გვეხმარება ჩვენ, ადამიანებს, რომ შევძლოთ ცხოვრება ამ სამყაროში. ჯერ კიდევ არსებობენ ერები, რომლებიც ვერ აცნობიერებენ ამას და სიბნელეში ცხოვრობენ. ისინი სინათლის სხივს ჩვენგან ელიან. სამყარო უნდა განვითარდეს, მთავარია ის, რომ ადამიანებს ჰქონდეთ რწმენა და ყველაფერი შესაძლებელია.⁴²

* * *

კუპერის კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ მისი ესეები საკმაოდ რთული წასაკითხია თანამედროვე მკითხველისთვის, რადგან კუპერის სტილი ცოტათი ბუნდოვანია. წარსულ ეპოქაში ნაშრომი შეიძლება გაუგებარი ყოფილიყო მუშათა ფენის ან რომელიმე დაბალი ფენის წარმომადგენლებისათვის. კუპერი თავის ნაშრომში ყველა შავკანიანი ქალის სახელით საუბრობს, თუმცა მის ესეებში არაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ კუპერს ისინი თავის თანასწორად მიაჩნია.⁴³

მიუხედავად ამისა, კუპერი თავისი ნაშრომების მეშვეობით ცდილობდა, ქალებისათვის მიეცა საშუალება, გაეცნობიერებინათ თავიანთი შესაძლებლობები და ებრძოლათ თავიანთი უფლებებისათვის. ეს დიდი ფემინისტი ნამდვილად იმსახურებს იმ დაფასებასა და აღიარებას, რაც მან დღესდღეობით ჰპოვა. ამას მოწმობს ისიც, რომ კუპერის გამოსახულება გვხვდება აშშ-ს სახელმწიფო საფოსტო მარკაზე, ხოლო აშშ-ს პასპორტის 24-ე და 25-ე გვერდებზე ვკითხულობთ

⁴¹ თომას ჰენრი ჰაქსლი (1825-1895 წწ.) – ინგლისელი ბუნებისმეტყველი. ჩარლზ დარვინის მეგობარი და მისი მოძღვრების პოპულარიზატორი.

⁴² იხ. A. J. Cooper, *A Voice From The South*, გვ. 303-304.

⁴³ იხ. M. H. Washington, "Introduction", in: Anna Julia Cooper, *A Voice From The South*, გვ. xxix-xxx.

კუპერის სიტყვებს: „თავისუფლების საკითხი არ არის მხოლოდ რასის, სექტის, პარტიისა ან კლასის საკითხი, ის მთელი ადამიანთა მოდგმის საკითხია. თავისუფლება ადამიანების ბუნებრივ უფლებას წარმოადგენს.“ – ანა ჯულია კუპერი

